რატი რამიშვილი
არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა, თსუ
ramishvilirati8@gmail.com

არაბთა მიერ სინდის დაპყრობა (711–712)

საკვანძო სიტყვები: უმაიანთა სახალიფო, სინდი, ისლამური დაპყრობები, დაჰირი, მუჰამად იბნ ალ-კასიმი

Keywords: Umayyad Caliphate, Sindh, Islamic conquests, Dahir, Muhammad ibn al-Qasim

ბოლო პერიოდში პაკისტანისა და ინდოეთის სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება გამწვავდა. უახლესი ხანმოკლე შეტაკებები 2025 წლის 7-10 მაისს მიმდინარეობდა. საზოგადოებისათვის კარგად ცნობილია ამ ორი მეზობელი სახელმწიფოს დავის ობიექტი, რომელსაც ჯამუსა და ქაშმირის ტერიტორიები წარმოადგენს და რომელთა ფლობაზე ორივე მხარე პრეტენზიას აცხადებს. პაკისტანის სახელმწიფოს შექმნიდან მოყოლებული (1947 წლის 14 აგვისტო), ამ შეტაკებებს პერმანენტული ხასიათი აქვს, მაგრამ ნაკლებად არის ცნობილი ის ერთ-ერთი ძირითადი ისტორიული ფაქტი, რომელმაც გავლენა იქონია ორ სახელმწიფოსა და მათ მოქალაქეებს შორის ღრმა გაუცხოებასა და დაპირისპირებაზე. სხვა მიზეზებთან ერთად, ეს მიზეზი (ან საბაბი) მონოთეისტური ისლამისა და პოლითეისტური ინდუიზმის დოქტრინალურ და ისტორიულ დაპირისპირებაზეც გადის.

საკუთრივ პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა ისლამური კანონმდებლობისა და ნორმების სისტემას ემყარება. ისლამის როლი ცხადადაა გამოკვეთილი კონსტიტუციაში (Niazi 2012: 17).

უკვე 13 საუკუნეზე მეტია, რაც ისლამი ინდოეთის სუბკონტინენტზე მიმდევრების საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი. ბუნებრივია, არაბეთის ნ.კ-დან, ისლამის სამშობლოდან, საგრძნობლად დაშორებულ ამ ვრცელი, მდიდარი, ისტორიული, ძირძველი კულტურის შემნარჩუნებელ მიწაზე ისლამის შეღწევა მოულოდნელი, დაუგეგმავი მეცადინეობის შედეგი არ უნდა ყოფილიყო. ის უდიდესი პოლიტიკურ-რელიგიური ძვრა, რომელიც დღესაც ხელშესახები და თვალსაჩინოა, რეალურად, შედეგია ასევე იმ მნიშვნელოვანი მოვლენისა, რომელსაც არაბთა მიერ სინდის დაპყრობა ეწოდება.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია წარმოვაჩინოთ შუა საუკუნეებში არაბ-მუსლიმთა მიერ სინდზე თავდასხმის, დაპყრობის, პოლიტიკური და რელიგიური მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი დეტალები და გავაანალიზოთ ამ ყოველივეს საერთო შედეგები.

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ სინდის დაპყრობის შესახებ ძირითადი წყაროების მოხსენიებასა და ლაშქრობის დეტალებზე, მანამდე, ჯეროვნად მიგვაჩნია, მოკლედ შევეხოთ ინდოეთის სუბკონტინენტის პოლიტიკუ-

რ-კულტურულ არეალსა და გეოგრაფიას როგორც VIII საუკუნის დასაწყისში, ისე დღევანდელობაში.

ინდოეთის ნახევარკუნძული VIII საუკუნისათვის ორ დიდ გეოგრაფიულ ნაწილად იყოფოდა: სინდი და ჰინდი. როგორც წესი, არაბულენოვან გეოგრაფებთან სინდის მოხსენიებისას იგულისხმება, რომ ეს ტერიტორია მოიცავს ბალოჩისტანს, მაქრანსა[1] და პენჯაბს[2] (Wink 2002: 145). დასავლეთით სინდის უმნიშვნელოვანეს გეოგრაფიულ მდებარეობას განაპირობებდა მდინარე ინდი. ის ეკონომიკური და სავაჭრო ცხოვრების ხერხემალი იყო. მდინარის ხეობები უზრუნველყოფდა მდიდარ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, სარწყავ სისტემებსა და სავაჭრო გზებს.

სინდი ინდოეთის სუბკონტინენტის ერთგვარი კარიბჭე იყო. აქ გადიოდა საზღვაო და სახმელეთო სავაჭრო მარშრუტები, რომლებიც აკავშირებდა ირანულ, არაბულ, თურქულ და ჩინურ სამყაროსთან. ინდოეთის მიწებზე (ხმელეთით) სხვადასხვა მიზნით მიმავალი ადამიანები, პირველყოვლისა, სინდში უნდა შესულიყვნენ, რათა სხვა ტერიტორიები გაევლოთ ინდოეთის სიღრმისაკენ. მნიშვნელოვან გეოგრაფიულ და პოლიტიკურ როლს აგრეთვე შემდეგი ქალაქები ასრულებდა: საპორტო ქალაქი დებალი, კანდაბილი, კიკანი, ლაჰორი, კუსდარი და მულთანი (Abd al-Maqsud 2021: 10).

კულტურული თვალსაზრისით, სინდში ერთმანეთს ორიგინალური ინდური და სპარსული ტრადიციები თანხვდებოდა. ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ როგორც ირანის მიწებიდან გადმოსული, ისე ადგილობრივი ზოროასტრელები. მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს ბუდისტები და ბრაჰმანები შეადგენდნენ (Wink 2002: 148-150). ფაქტობრივად, მეფე ჩაჩიმდე (632-671), უპირატესად, ბუდიზმის აღმსარებლები მართავდნენ სინდს.[3]

მოსახლეობის უმეტესობას ადგილობრივი ტომობრივი ჯგუფები, ჯატები, მიდები, სუმრა და ავღანები წარმოადგენდნენ. მათი ნაწილი მესაქონლეობას მისდევდა, ნაწილი კი მიწათმოქმედებას, ან ორივეს ერთად.

რაც შეეხება სუბკონტინენტის აღმოსავლეთს,[4] რომლის დაპყრობა არაბებმა ვერ მოახერხეს, არაბულ წყაროებში სახელდებულია, როგორც „ალ-ჰინდი“ (Wink 2002: 7, 132). ალ-ჰინდი ტიბეტიდან ინდოეთის ოკეანემდე გადაჭიმული ვრცელი ტერიტორიაა. არაბთა დაპყრობის დროს არსებული ყველა მაშინდელი ინდური სამეფოსა და ზუსტი საზღვრების დადგენა ვერ ხერხდება (Wink 2002: 192), თუმცა აღსანიშნავია რაჯასტანის, გუჯარათის, დეკანისა და მდინარე განგის ხეობის ძლიერი სამეფოები (Stein 2010: 129).

რელიგიური და სამეურნეო თვალსაზრისით, სუბკონტინენტის აღმოსავლეთითაც იგივე მდგომარეობა გვაქვს, როგორიც დასავლეთით, სინდში.

---

1 თანამედროვე პაკისტანისა და ავღანეთის ტერიტორიები.

2 ტერიტორია თანამედროვე პაკისტანსა და ინდოეთში.

3 რაის დინასტია (489-632).

4 ტრადიციულად, იგულისხმება მდინარე ინდის აღმოსავლეთი.

ეთნიკურად, რელიგიურად და პოლიტიკურად მრავალფეროვანი ინდოეთის ნახევარკუნძული დღესაც საკმაოდ ჭრელია ამ თვალსაზრისით. იგი 7 დამოუკიდებელ სახელმწიფოს ითვლის, ესენია: ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, ნეპალი, ბჰუტანი, შრი- ლანკა და მალდივები. თანამედროვე სუბკონტინენტი იმითაც ჰგავს შუა საუკუნეებისას, რომ არც მაშინ და არც დღეს ერთიანი სახელმწიფო არ შეუქმნიათ, ისეთი სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა მთელს ნახევარკუნძულს, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალიზაციას მყარი ეთნიკური საფუძველი ჰქონდა და აქვს.

VIII საუკუნის დასაწყისში უმაიანთა სახალიფო (661-750) ძლიერების ზენიტს აღწევს, რაც გამოიხატებოდა შეუჩერებელი დაპყრობების სერიით (ტიკაძე 2008: 50-55; გელოვანი, სანიკიძე 2009: 38-60). ამ პერიოდისათვის არაბებს დაპყრობილი ჰქონდათ თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის უმეტესი ნაწილი, მთელი ჩრდილოეთ აფრიკა, ევროპაში, პირენეის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე (ესპანეთი) იერიში მიიტანეს ვესტგოთთა სამეფოზე. შეუტიეს შუა აზიას და უკვე 711 წლისათვის მიაღწიეს დღევანდელი პაკისტანის ტერიტორიაზე არსებულ სინდის სამეფომდეც.

სინდის დაპყრობის შესახებ წყაროები მოკრძალებული სახითაა მოღწეული. ცნობების შემომნახველთაგან, პირველყოვლისა, უნდა დავასახელოთ აჰმად იბნ ჯაბირ ალ-ბალაზური (გარდ. 892), რომელმაც თავის ცნობილ ნაშრომში „ფუთუჰ ალ-ბულდან“ დაგვიტოვა ნიშანდობლივი ინფორმაცია ლაშქრობის მიმდინარეობასა და სხვა დეტალებზე. შედარებით მცირე, თუმცა ასევე გასათვალისწინებელი ცნობები დატოვა აბუ-ლ აბას იბნ აჰმად იბნ იაკუბმა (ცნობილი, როგორც ალ-იაკუბი, გარდ. 898) წიგნში „თარიხ ალ-იაკუბი“. რამდენიმე წინადადებითაა მოხსენიებული სინდის დაპყრობაზე მუჰამად იბნ ჯარირ ატ-ტაბარის (გარდ. 923) ნაშრომში „თარიხ ატ-ტაბარი“. მსგავს ინფორმაციას იმეორებს იზ ად-დინ აბუ-ლ ჰასან ალი იბნ ალ-ასირი (გარდ. 1223) წიგნში „ალ-ქამილ ფი-თ თარიხ“. ეს დანაკლისი, რამდენადმე, კომპენსირდება XIII საუკუნის მოღვაწის, ალი იბნ ჰამიდ იბნ აბი ბაქრ ალ-ქუფის მიერ არაბულიდან სპარსულად თარგმნილი ნაშრომით „ჩაჩნამე“, რომელიც თითქმის მთლიანად ეძღვნება არაბების ინდურ მიწაზე პირველად შეჭრის ისტორიას, თუმცა, ვინაიდან წყარო მოგვიანო ხანისაა, იგი სამეცნიერო წრეებში არც თუ ისე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს (Gabrieli 1965: 281). ჩვენი მსჯელობა, უწინარესად, ალ-ბალაზურისა და ალი ქუფის ცნობებს ეყრდნობა. თხრობის შესავსებად, საჭიროებისამებრ, ვიყენებთ როგორც დანარჩენი ავტორების წყაროებს, ისე შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას.

VIII საუკუნეში თანამედროვე პაკისტანის ტერიტორიაზე არსებული სინდი, დედაქალაქით ალორი, დიდი ტერიტორიის მფლობელი სახელმწიფო იყო, რომელსაც საკუთარი მეფე და მმართველი ელიტა ჰყავდა. სინდი თავიდანვე მეზობელი ინდური სამეფოების თვალსაწიერში მოექცა. მოგვია-

ნებით ახალი სარწმუნოება – ისლამი – სწორედ სინდის უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქის, დებალის გავლით შევიდა ინდოეთის სუბკონტინენტზე, თუმცა არაბთა შეჭრამდე და IX საუკუნემდეც წამყვან რელიგიას ბუდიზმი წარმოადგენდა (Shah 2011: 8).

„ჩაჩნამეს“ ცნობით, ამ პერიოდში სინდს მართავს უზურპატორი მეფის, ჩაჩის (632-671) ბრაჰმანიანთა დინასტია, რომელმაც წაართვა ძალაუფლება წინა ბუდისტ მმართველს (Shama 2015: 28). მეფე ჩაჩის სიკვდილის შემდეგ ტახტს იკავებს მისი ძმა, ჩანდარი (671-679). მოგვიანებით, თავი იჩინა შიდა დაპირისპირებამ მომავალ მეფე დაჰირსა (679-712) და მის ძმა დაჰარსიას შორის (Priyadarshini 2019: 170).[5] აქვე აღსანიშნავია, რომ ალ-ბალაზური ასეთ დეტალურ ინფორმაციას უშუალოდ მეფეთა შესახებ არ იძლევა და კონცენტრირებულია ბრძოლების თხრობაზე.

სინდი იყო ერთგვარი ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც ოთხ პროვინციად იყოფოდა. პროვინციის მმართველები იყვნენ დამოუკიდებლები და თავიანთი წრიდან ირჩევდნენ მეფეს. მათ ევალებოდათ ჯარის გამოყვანა, საჭიროების შემთხვევაში (Dhar 1939: 852).

უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ არაბების ინდურ ტერიტორიებში შეჭრამდე (711), როგორც ჩანს, ისლამის პატარა კერები სუბკონტინენტზე არსებობდა. ამას ადასტურებს ქერელაში (დღევანდელი ინდოეთი) ერთ-ერთი პირველი მეჩეთის – ჩერამან ჯუმა მასჯიდის არსებობა.[6] ხოლო უშუალოდ სინდში, ხალიფა მუავიას (661-680) დროს, გაჩნდა ისლამური თემები. ამას ადასტურებს ისიც, რომ მეფე დაჰირის მდივანი არაბი მუსლიმი ვაზილი[7] არაბულიდან თარგმნიდა მუჰამად იბნ ალ-კასიმის მიერ გამოგზავნილ წერილებს (Dhar 1939: 850).

როცა ვახსენებთ სინდის 711 წლის დაპყრობას, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ წინარე ცდები, რომლებმაც ბიძგი მისცეს შემდგომში ხალიფასა და სარდლებს აღნიშნული მოვლენის წარმატებით დაგვირგვინებაში.

ინდოეთზე, უფრო ზუსტად კი სინდზე იერიშის მთავარი განმაპირობებელი ჰადისია,[8] რომელშიც ვკითხულობთ: „ალაჰის მოციქულმა (ღმერთი დალოცავს და გაუმარჯვებს მას) თქვა: „ჩემი უმმასგან[9] ალაჰი ორ კრებულს დაინდობს ჯოჯოხეთის ცეცხლისგან: კრებულს, რომელიც ინდოეთს დალაშქრავს და კრებულს, რომელიც ისა იბნ მარიამთან (ე. ი. იესო ქრისტე – რ. რ.) ერთად იქნება“ (An-Nisai 2025). შესაბამისად, მუსლიმ მორწმუნეებში

---

5 „ჩაჩნამე“ გვამცნობს ჩანდარზე: „ჩაჩის, სილაიჯის ძის სიკვდილის შემდეგ, არორში გამეფდა მისი ძმა. მან ასკეტთა და ბერთა სარწმუნოება განაძლიერა და განამტკიცა“ (Kufi 1939: 50).

6 არსებობს გადმოცემა, რომ ის ააგო პირველმა ინდოელმა მუსლიმმა ჩერამან პერუმალ ბჰასკარა რავი ვარმამ (629).

7 საკუთარი სახელია.

8 მუჰამად წინასწარმეტყველის გამონათქვამი.

9 არაბულად Ummat „ერს“, „ხალხს“, „ნაციას“ ნიშნავს, მაგრამ რელიგიურ ტექსტებში, როგორც წესი, მუსლიმ მორწმუნეებს მიემართება.

ინდური მიწების დაპყრობის სურვილი ჯერ კიდევ მუჰამადის დროს არსებობდა.

გარდა ამისა, როგორც ვთქვით, სინდი მდიდარი ქვეყანა იყო და მუსლიმებმა მას ყურადღება მიაპყრეს ჯერ კიდევ მეორე მართლმორწმუნე ხალიფა უმარ იბნ ალ-ხატაბის (634-644) დროს. პირველი სამხედრო ექსპედიცია მხედართმთავარ მუღაირას სარდლობით გაიგზავნა, თუმცა კრახით დასრულდა და მუღაირაც დაიღუპა. მეორე ექსპედიცია იგზავნება უსმანის ხალიფობისას (644-656) უბაიდ ალლაჰის სარდლობით, მაგრამ კვლავ წარუმატებლად. სახალიფოში პირველი სამოქალაქო ომის (ალ-ფითნა) მიუხედავად (656-661), პერიოდულად აგზავნიან ჯარებს ალისა (656-661) და მუავიას (661-680) დროს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პერიოდში დამკვიდრდა პრაქტიკაში სამხედრო ექსპედიციის მეთაურის კონკრეტული, ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი რეგიონის (ამ შემთხვევაში სინდის) „მთავრად“, „ნაცვლად“ დანიშვნა ხალიფას მიერ. მაგალითად, ერაყის გამგებელი ალ-ჰაჯაჯ იბნ იუსუფი (694-714/715) აბდ ალ-მალიქმა (685-705) დანიშნა „ჰინდისა და სინდის მთავრად“ (Dhar 1939: 851) ამ ტერიტორიების დაპყრობამდე დიდი ხნით ადრე.

სიმდიდრისა და ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდების სურვილის გარდა, რასაკვირველია, არსებობდა სხვა მიზეზებიც, რომელთა გამო უკვე ხალიფა ალ-ვალიდ I-მა (705-715) გადაწყვიტა შეტევა: სარდლებში იყო ჯიჰადის[10] სურვილი, რათა დარ ალ-ისლამის[11] ნაწილი გაეხადათ „ურწმუნოთა“ ტერიტორიები. ამასთან, ყველა ხალიფა ცდილობდა ისლამის გავრცელებისათვის ხელის შეწყობას (Sharma 2015: 29).

პოლიტიკური მდგომარეობა სინდში სახარბიელო არ იყო.[12] ქვეყანა დასუსტებული იყო რელიგიური დაძაბულობით ბუდისტებსა და ბრაჰმანებს შორის, ახალი დასრულებული იყო დაჰირსა და მის ძმას შორის უთანხმოებები. ყოველივე ეს არაბებს ხელს აძლევდათ, რათა „ესპანური სცენარით“ დაეპყროთ იგი.[13]

---

10 „ჯიჰადი“ გულისხმობს ისლამის გავრცელებისადმი მიმართულ ძალისხმევას (იარაღით თუ სიტყვით) (წურწუმია 2019: 29).

11 „დარ ალ-ისლამი [დარ ალ-ისლამ, „ისლამის მხარე, ტერიტორია“] – შუა საუკუნეების მუსლიმური სამართლით მსოფლიო იყოფა დარ ალ-ისლამად და დარ ალ-ჰარბად, რომელთაც ზოგიერთი სამართლისმცოდნე უმატებს აგრეთვე დარ ას-სულჰს. დარ ალ-ისლამი ის ქვეყნებია, რომლებსაც მართავენ მუსლიმი გამგებლები მუსლიმური სამართლის საფუძველზე. ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობის უმეტესობა მუსლიმი იყოს. მუსლიმთა მოვალეობაა დარ ალ-ისლამის საზღვრების გაფართოება „ურწმუნოთა“ ხარჯზე“ (ჯაფარიძე 1999: 49).

12 იგულისხმება, რომ ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგეები უმცირესობაში იყვნენ. მეფე დაჰირმა გააძლიერა საკუთარი პოზიციები ძმასთან დაპირისპირების შემდეგ.

13 აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ვესტგოთების სამეფოში არაბთა შეჭრამდე პოლიტიკური მდგომარეობა მეტად არასახარბიელო იყო, ისევე როგორც – სინდში.

თავდასხმის უმნიშვნელოვანესი მიზეზი შემდეგია: სინდელმა (დებალელმა) მეკობრეებმა კარაჩის მახლობლად გაძარცვეს 8 გემი, რომლებიც, საჩუქრებით დატვირთული, დღევანდელი შრი-ლანკის მბრძანებელმა გაუგზავნა ხალიფა ალ-ვალიდსა და ერაყის გამგებელ ალ-ჰაჯაჯ იბნ იუსუფს.[14] ხალიფა და ერაყის გამგებელიც გაოცებულნი იყვნენ მსგავსი თავხედობით და დაჰირისგან ზარალის ანაზღაურება მოითხოვეს. დაჰირი კი პასუხობდა, რომ ის არ იყო პასუხისმგებელი და ვერ გააკონტროლებდა მეკობრეთა თავდასხმებს (Sharma 2015: 29).

სინდის დასაპყრობად გამოარჩიეს ამირ იბნ აბდულლაჰი, მაგრამ, საბოლოოდ, ერაყის გამგებელმა არჩევანი შეაჩერა თავის 17 წლის[15] ძმისშვილსა და სიძეზე – მუჰამად იბნ ალ-კასიმზე (695-715).

ორგანიზებული ლაშქრობისთვის ჯეროვანი მზადება 710 წლისათვის დაიწყო (Hitti 1970: 210). ახალგაზრდა მხედართმთავარი გადავიდა შირაზში (სპარსეთი) 6000 ცხენოსნით, რომლებიც სირიის რაზმებიდან შეიკრიბა (Islam 1990: 28). ბიძის მითითებით, იბნ ალ-კასიმი შირაზში რამდენიმე თვე გაჩერდა და ამზადებდა ჯარს. მალევე დაიძრა იგი აღმოსავლეთისკენ. გზად მას ჰაჯაჯისგან გამოგზავნილი დამხმარე ძალები ემატებოდა. სინდის საზღვრებთან შეუერთდა აბუ-ლ-ასვად ჯაჰამი 6000 ცხენოსნითა და 6000 აქლემოსანით, ბაქტრიიდან (თანამედროვე ავღანეთი) მირ მასუმმა 3000 გაწვრთნილი ქვეითი გადმოიყვანა, ასევე მაქრანთან[16] მოუსწრო დამხმარე ძალამ, რომელსაც თან ჰქონდა ხუთი კატაპულტი (მანჯანიკი). ამას რამდენიმე ინდური მოღალატე ტომის შენაერთიც დაემატა (Dhar 1939: 857). შეიძლება ითქვას, რომ მუჰამად იბნ ალ-კასიმის ლაშქარი დაახლოებით 30 ათას კარგად მომზადებულ მეომარს ითვლიდა. ეს რიცხვი სტანდარტულია ადრეისლამურ და შემდგომი ხანის არაბულ დაპყრობებში.[17] ისლამური დროშის ქვეშ გაერთიანებული ლაშქარი სინდში 711 წელს შევიდა.[18] ალ-ბალაზურის თანახმად, ეს იყო მუჰარამის 10 რიცხვში[19] (Al-Baladhuri 1916: 217).

712 წელს სახალიფოს არმიამ საპორტო ქალაქ დებალს ალყა შემოარტყა. მათ მალევე შეუერთდნენ აჯანყებული ბუდისტები. ქალაქი კარგად იყო გამაგრებული თავდაცვითი ნაგებობებით და რთული იყო მისი შეტევით აღება, მით უმეტეს ხმელეთიდან (Priyadarshini 2019: 173). ქალაქის მმართველი იყო

---

14 სხვა გადმოცემით, სავაჭროდ დატვირთული გემები სახალიფოს საკუთრება იყო.

15 ალ-იაკუბის ცნობით, სარდალი 15 წლის იყო (Al-Yaqubi 1883: 347).

16 დღევანდელი სანაპირო ზოლი პაკისტანსა და ირანში.

17 პირენეის ნახევარკუნძულის დამორჩილებისას (711-712), ტარიკ იბნ ზიადისა და მუსა იბნ ნუსაირის ჯარი დაახლოებით 30000 მებრძოლს აღწევდა. იმავე ითქმის სასანიანთა სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლისას კადისიასთან სად იბნ აბი ვაკასის მიერ შეკრებილ ჯარზე (636).

18 ერთადერთი ავტორია ატ-ტაბარი, რომელიც მეფე ჩაჩის სიკვდილსა და, შესაბამისად, სინდში შეჭრას განუკუთვნებს ჰიჯრით 90 წელს. გრიგორიანული კალენდრით გამოდის, რომ ლაშქრობა 708-709 წლებში უნდა დაწყებულიყო (Al-Tabari 1990: 149).

19 გრიგორიანული კალენდრის 31 ოქტომბერი.

დაჰირის ძმისშვილი, რომელიც მომხდურებს სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდა. ყველაფერმა დაკარგა აზრი, როცა ერთ-ერთმა მოღალატე ბრაჰმანმა ღამით იბნ ალ-კასიმს გაანდო ქალაქის დაცვის საიდუმლო, ასევე ისიც, რომ დებალის მთავარი ჯარი დამალული იყო უზარმაზარ ინდუისტურ ტაძარში, რომელზეც აღმართული იყო წითელი ალამი ნიშნად დაუმარცხებლობისა. ქალაქს ასევე იცავდა 4000 რაჯპუტი და 3000 ბრაჰმანი. მიუხედავად ამისა, სისხლიანი შეტაკების შემდეგ მუჰამად იბნ ალ-კასიმი შეიჭრა ქალაქში და ჩამოგლიჯა ინდუისტური დროშა. არაბებმა ნამდვილი სასაკლაო მოაწყვეს, ქალაქის თავი გაიქცა, არაბთა ხელში აღმოჩნდა ნადავლის სახით უზარმაზარი სიმდიდრე და ტყვე ქალები. ხალხს ასეთი პირობა წაუყენეს: ისლამის მიღება, ან სიკვდილი. ათასობით ინდუსი, ბუდისტი და ბრაჰმანი ამოხოცეს, ეს ყოველივე სამი დღე გაგრძელდა (Al-Baladhuri 1916: 218). ქალაქის აღების შემდეგ, არაბებმა დაამსხვრიეს კერპები და მთავარი ტაძრის მსახურები დახოცეს, ტაძრის შიგნით ააგეს დიდი მეჩეთი და დატოვეს 4000 მუსლიმი მეომარი (Shah 2011: 12).

აღსანიშნავია, რომ დაჰირს ჰქონდა ინფორმაცია არაბთა შემოჭრაზე, მაგრამ არაფერი მოიმოქმედა. დაჰირის ასეთმა უმოქმედობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობაში.

დებალის დაცემის შემდეგ მოვიდა ნირუნის (დღევანდელი ჰაიდარაბადი) ჯერი. ნირუნი დაჰირის ვაჟს, ჯაი სინდს ემორჩილებოდა. იგი სახალიფოს ჯარის მიერ ქალაქზე ალყის შემორტყმისთანავე გაიქცა და სასულიერო პირს ჩააბარა ქალაქის დაცვა. მუჰამად იბნ ალ-კასიმმა ქალაქი ბრძოლის გარეშე აიღო. ამბობდნენ იმასაც, რომ ქალაქი დაეცა ბუდისტი მცხოვრებლების ღალატის გამოც. რასაკვირველია, ეს არ უნდა გავიგოთ, თითქოს ყველა ბუდისტი სამშობლოს მოღალატე იყო. ამის მაგალითია ქალაქ ბუდიას ალყა, როცა ბუდისტი მეომრების მეთაურმა ღამით მიიტანა იერიში იბნ ალ-კასიმის ჯარზე, თუმცა დამარცხდნენ და ტყეში აებნათ გზა. იმავე ქალაქის ბუდისტმა მცხოვრებლებმა იბნ ალ-კასიმის წინამორბედი სარდალი – სისანი გააქციეს და ბრძოლაშიც მოკლეს (Al-Baladhuri 1916: 219).

მუჰამად იბნ ალ-კასიმის ლაშქარმა ელვის სისწრაფით აიღო სეჰვანი, სისამი, სადუსანი, სავანდრი და სურასტი (Al-Baladhuri 1916: 219; Al-Yaqubi 1883: 347). ამჯერად, მეფე დაჰირმა საბოლოოდ შეაფასა რეალობა. ფაქტობრივად, სინდის მთელი დასავლეთი ნაწილი არაბთა ხელში გადავიდა და საჭირო იყო დიდი გენერალური ბრძოლის გამართვა მუჰამად იბნ ალ-კასიმის უძლეველი ჯარის შესაჩერებლად.

712 წლის ივნისში დაჰირი მდინარე მიჰრანთან ახლოს, რავართან დაბანაკდა და უმაიანთა ჯარის გამოჩენას ელოდა. იბნ ალ-კასიმის ლაშქარი დაახლოებით 30 ათას მეომარს შეადგენდა, ხოლო დაჰირის ჯარი 50 ათასამდე კაცს აერთიანებდა, რომელთა შორის იყვნენ ქვეითები, მხედრები და საბრძოლო სპილოები. ორი არმია ერთმანეთს 20 ივნისს გადამწყვეტ ბრძოლაში შეეჯახა. დაჰირი, როგორც ერთ-ერთი მეომარი, სპილოზე ამხედრე-

ბული იბრძოდა წინა ხაზზე,ხოლო სპილოს გაქცევის შემდეგ ცხენზე ამხედრებული განაგრძობდა ბრძოლას. მეომრები პანიკამ მოიცვა, როცა ვეღარ დაინახეს თავიანთი მეფე სპილოზე. ორდღიანი თავდაუზოგავი ბრძოლის მიუხედავად, დაჰირის არმია სასტიკად დამარცხდა და თვითონ მეფეც ბრძოლაში დაეცა (Al-Baladhuri 1916: 219).[20]

ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ისლამური ლაშქარი პირდაპირ სინდის დედაქალაქის, ალორისაკენ გაემართა. მაცხოვრებლებმა არ იცოდნენ, რომ მათი მეფე მკვდარი იყო (Al-Yaqubi 1883: 346-347). ქალაქი მარტივად დამარცხდა და შეჭრის შემდეგ უზარმაზარი ძვირფასეულობა, მონები და დაჰირის ორი ქალიშვილი, როგორც ომის ნადავლი, თვით მეფის თავთან ერთად გაიგზავნა დამასკოში ხალიფას საჩუქრად. გაუპატიურება და ხალხის ხოცვა, წარმართული ტაძრების ნგრევის პარალელურად, თან სდევდა ალორის აოხრებას (Shah 2011: 13).

ერთადერთი დიდი ქალაქი, რომელიც სინდის ტერიტორიაზე ადგილობრივთა ხელში რჩებოდა, იყო ბრაჰმანაბადი (ალ-მანსურა). ბრაჰმანაბადის აღების შემდეგ დახოცილთა რიცხვი 8000-დან 26 ათასამდე მერყეობდა (Shah 2011: 13). ქალაქის დაცვას დაჰირის ძმა, ბრაჰმანაბადის სუბედარი მეთაურობდა. დაცემის შემდეგ მთავარი ტაძარი მეჩეთად გადაკეთდა. მისმა აღებამ უზარმაზარი ავტორიტეტი და სახელი შესძინა ახალგაზრდა მხედართმთავარს.

მალევე დაიმორჩილეს მულთანი,[21] უდიდესი და უმდიდრესი ტერიტორია, რომელსაც „ოქროს მიწასაც“ უწოდებდნენ. „ჩაჩნამეს“ ავტორის ცნობით, ბრძოლები 17 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა (Kufi 1900: 120). მულთანში მუსლიმმა მეომრებმა ბუდისტი პილიგრიმების დიდი ჯგუფი ტყვედ აიყვანეს (Hitti 1970: 212). ვარაუდობენ, რომ მუჰამად იბნ ალ-კასიმს სურდა დანარჩენი დიდი ინდური მიწების დაპყრობა, თუმცა არაბები წინ აღარ წასულან. ფაქტობრივად, სუბკონტინენტის პირველი ორგანიზებული, ისლამური დაპყრობა დასრულდა და XI საუკუნემდე, ღაზნევიდების სახელმწიფოს სულტან მაჰმუდ ღაზნევის ლაშქრობამდე (1000-1026) აღარ განმეორებულა (Hitti 1970: 212).

711-712 წლების დაპყრობების შედეგად სინდი სახალიფოს შემადგენლობაში შევიდა. სინდს მართავდა ნაცვალი, რომელიც ემორჩილებოდა ერაყის გამგებელს, რადგან ჯარები სწორედ ერაყიდან გაიგზავნა.

საყურადღებოა, რომ ახალგაზრდა დამპყრობელი ბრაჰმანებსა და ბუდისტებს არ დევნიდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი „წიგნის ხალხთაგან“

---

20 „ის (დაჰირი) ამხედრებული იყო სპილოზე და გარეშემოცულიყო სპილოებითა და სარდლებით. ისეთი ბრძოლა ატყდა, რომლის მსგავსი აქამდე არ სმენილა. დაჰირმა ვაჟკაცობა გამოიჩინა ბრძოლაში, საღამოსთვის კი მოკლულ იქნა. ურწმუნოები გაცამტვერდნენ, მუსლიმები მათ ისე ხოცავდნენ, როგორც მოესურვებოდათ“ (Al-Baladhuri 1970: 443).

21 დღევანდელი პენჯაბის ტერიტორია. მულთანიიყო ცალკე პროვინცია, რომელიც სინდს დაპყრობილი ჰქონდა არაბების ლაშქრობამდე. დალაშქრა მეფე ჩაჩიმაც.

(ე. ი. ქრისტიანები და იუდეველები – რ. რ.) არ იყვნენ (Wink 2002: 193), მათ ხელშეუხებლობასა და უსაფრთხოებას აღუთქვამდა, ამასთან შეუნარჩუნა მათ აღმსარებლობის თავისუფლება ჯიზიას გადახდის სანაცვლოდ. ორივე სარწმუნოების სასულიერო პირებს შეუნარჩუნდათ ადრინდელი პრივილეგიები, იხდიდნენ რა იმავე რაოდენობის გადასახადს, რამდენსაც მეფე დაჰირის დროს. მეტიც, ადგილობრივებს შეტაკებათა დროს განადგურებული რელიგიური ნაგებობების აღდგენის ნებაც კი მიეცათ (Alkhateeb 2014: 48). ასეთი ლიბერალური პოლიტიკით ისლამიც შედარებით მარტივად ვრცელდებოდა (Priyadarshini 2019: 173). აშკარაა, რომ ახალგაზრდა სარდალი მიჰყვებოდა ალ-ჰაჯაჯის ინსტრუქციებს. მით უმეტეს, ცნობილია, რომ მანამდე იბნ ალ-კასიმი სამხედრო ოპერაციებისას დირექტივებს სწორედ ერაყის გამგებლისგან იღებდა (Wink 2002: 203).

მუჰამად იბნ ალ-კასიმი ისე სწრაფად დაეცა, როგორც აღზევდა 17 წლის ასაკში. მის სიკვდილთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთ-ერთი სარწმუნო ცნობით, რომელსაც ალ-ბალაზურის „ფუთუჰ ალ-ბულდანი“ გვაძლევს, იბნ ალ-კასიმი სახალიფოს ინტრიგებს შეეწირა. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში ხალიფა გახდა ალ-ვალიდის ძმა სულაიმანი (715-717). ჰაჯაჯ იბნ იუსუფი, რომელიც სულაიმანის გახალიფებამდე მის ოპოზიციას წარმოადგენდა, სულაიმანის ძალაუფლების მიღებამდე გარდაიცვალა. ახალმა ხალიფამ განახორციელა რეპრესიები გარდაცვლილი ჰაჯაჯის ნათესავებისა თუ უბრალოდ მისთვის მიუღებელი ხალხის წინააღმდეგ. მუჰალაბების (სულაიმანის მხარდამჭერების) ჩაგონებით, 20 წლის ასაკში სპარსეთში დაბარებული სინდის დამპყრობელი მუხანათურად, წამებით მოკლა სალიჰ იბნ აბდ არ-რაჰმანმა, ერაყის ახალმა ფინანსურმა გამრიგემ (Wink 2002: 207). იბნ ალ-კასიმს არანაირი კავშირი არ ჰქონდა ამ გაუგებრობასთან. ფაქტობრივად, იგიდამასკოდან წამოსულმა ინტრიგებმა შეიწირა (Priyadarshini 2019: 174).

საერთო ჯამში, ლაშქრობის მთავარი მიზანი, სინდის დაპყრობა, შედგა. ამ ლაშქრობიდან სახალიფომ 60 მილიონი დირჰამი შემოსავალი მიიღო. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო წრეების დიდ ნაწილში 711-712 წლის კამპანიას „ტრიუმფს შედეგების გარეშე“ უწოდებენ. უმთავრესად იმიტომ, რომ მან გავლენა მხოლოდ მცირე ტერიტორიაზე იქონია (Preeti 2015: 29). საქმე ისაა, რომ არაბებმა მხოლოდ შეიტანეს ახალი რელიგია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უმცირესობაში იყო სუბკონტინენტზე, კულტურული კავშირების მხრივ უფრო მეტად გავლენა სწორედ დაპყრობილი ტერიტორიების მაცხოვრებლებმა იქონიეს და საერთო არაბულ-ისლამურ კულტურაში თავიანთი სიტყვა თქვეს. ეს ცალკე კვლევის საკითხია.

უმაიანებს აღარ ეყოთ ძალა და რესურსები გაეგრძელებინათ დაპყრობები გაცილებით ძლიერი გუჯარათისა თუ სინდის მეზობელი სხვა ინდური სამეფოების დასამორჩილებლად. მეტიც, სინდი დიდი ავტონომიით სარგებლობდა და ადგილობრივ მმართველს ემორჩილებოდა, განსხვავებით იფრიკიის, მაღრიბისა და ანდალუსიის ტერიტორიებისაგან (იმ პერიოდში).

უკვე 750 წლიდან ხალიფას ძალაუფლება ნომინალურია სინდზე და სუბედარი, ფაქტობრივად, დამოუკიდებლად მართავს სინდს, ხოლო 781 წელს ორ ნაწილად იყოფა ცენტრებით: მულთანი და ალორი (Sharma 2015: 29).

არის შეფასებები, რომ სინდის დაპყრობამ გახსნა გზა შუა აზიისაკენ (Koleshnikov 1996: 474). მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ და აქვე შევნიშნავთ, რომ ეს ყოველივე ჯერ კიდევ სასანიანთა ირანის საბოლოო დაპყრობის შემდეგ გახდა შესაძლებელი (651), როდესაც არაბები ირანულ ბაზებს პლაცდარმად იყენებდნენ შუა აზიის ხალხებზე თავდასხმისთვის (გელოვანი, სანიკიძე 2008: 57).

რაც შეეხება სინდის მარტივად დაპყრობისმიზეზებს: შიდა დაპირისპირებები, რელიგიური დაქსაქსულობა და ქიშპი, დიდგვაროვნების ღალატი, ხალხში დაჰირის არაპოპულარობა, მისი ჯეროვნად მოუმზადებლობა მაშინ, როდესაც იცოდა საფრთხის რეალურობა ქვეყნისთვის. რიგ შემთხვევებში კი საკუთრივ ხალხის უიმედო მდგომარეობა. რასაკვირველია, ეს პრობლემები სათავისოდ და წარმატებით გამოიყენა სახალიფომ. მეორე მხრივ, სინდის ხელისუფლების ასეთი წარუმატებლობის მიზეზები არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მოწინააღმდეგე არაბ-მუსლიმთა ძალებშიც არის საძიებელი. ეს მიზეზები, ვფიქრობთ, შემდეგია: მუსლიმთა 30 ათასიანი ჯარის თანმიმდევრულობა ქალაქთა ალყისას, სარდლების მიზანმიმართულობა და ერთგულება მუჰამად იბნ ალ-კასიმის მიმართ, რელიგიური მოტივი, ანუ ჯიჰადისა და არამუსლიმთა მიწების „ისლამის ტერიტორიაში“ მოქცევისადმი ლტოლვა, საბრძოლო შემართება, მოწინააღმდეგის მოღალატე თანამემამულეების სათავისოდ წარმატებით გამოყენება. და, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა სარდლის სამხედრო ნიჭი.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, სტატიის მიზანი გახლდათ არაბთა მიერ სინდის დაპყრობის დეტალების წარმოჩენა. ვფიქრობთ, რომ ეს მოვლენა – სინდის დაპყრობა არაბთა სახალიფოს მიერ, არ არის პოლიტიკური წარმატების თვალსაზრისით გამოსარჩევი. ამაზე, გარდა ზემოთ დასახელებული ფაქტებისა, ისიც მეტყველებს, რომ ძველი ისტორიული წყაროები, პრაქტიკულად, ძალიან მცირე ინფორმაციას გვაწვდიან ამ ლაშქრობის შესახებ, როცა მეტი ენაწყლიანობითა და მონდომებით აღგვიწერენ მუსლიმი ისტორიკოსები, ვთქვათ, ეგვიპტის ან მაღრიბის დაპყრობას.

მეორე მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია სინდის დაპყრობა იმ თვალსაზრისით, რომ ეს იყო ნაბიჯი, რომლითაც გზა გაეხსნა ისლამს ინდოეთის სუბკონტინენტზე და შესაბამისად, შეიქმნა სრულებით ახალი გეოპოლიტიკური რეალობა, როგორც გრძელვადიანი შედეგი მუსლიმთა მიერ სინდის დაპყრობისა: ფაქტობრივად, ისტორიული სინდი, რომლის უმეტესი ნაწილი დღევანდელი პაკისტანია, დაიპყრეს მუსლიმებმა და ეტაპობრივად მოხდა მისი ისლამიზაციაც, რამაც შემდგომში შექმნა ტერიტორია ეთნიკურად ინდოელი მუსლიმებისა და აისახა კიდეც, საბოლოოდ, ინდოეთის გაყოფაზე.

მართალია, რამდენიმე საუკუნე ეს რელიგია უმცირესობაში იყო, თუმცა იდეოლოგიური მეცადინეობისა და მომავალი მუსლიმური დაპყრობების გავლენით, ეს პატარა ნაბიჯი, გადადგმული უმაიანთა მხრიდან, იქცა ხელშესახებ ბერკეტად მოგვიანო ძლიერი ისლამური სახელმწიფოების – დელის სასულთნოსა (1206) და დიდ მოგოლთა (1526) სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ინდურ მიწებზე და შესაქმნელად იმ სურათისა, რომელსაც დღესდღეობითაც თვალნათლივ ვხედავთ ინდოეთის სუბკონტინენტზე.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- **გელოვანი, სანიკიძე 2009:** გელოვანი ნანი, სანიკიძე გიორგი. ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009;
- **ტიკაძე 2008:** ტიკაძე მერაბ. არაბთა ისტორია (V-XV სს.). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008;
- **წურწუმია 2019:** წურწუმია მამუკა. ომის იდეოლოგია საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთში: ქრისტიანული საღვთო ომი და ისლამური ჯიჰადი, თბილისი, 2019;
- **ჯაფარიძე 1999:** ჯაფარიძე გოჩა. დარ ალ-ისლამი, ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, რედ. გ. ბერაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 1999;
- **Abd Al-Maqsud 2021:** Abd Al-Maqsud Abd Al-Hamid Abu Abiyya Taha, Mujaz an Al-Futuhat Al-Islamiyya, Al-Qahira, Dar An-Nashr Lil Jamiat, 2021;
- **Al-Baladhuri 1916:** Al-Baladhuri ibn Jabir Ahmad, Kitab Futuh al-Buldan of al-Imam abu-l ‘Abbas Ahmad ibn-Jabir al-Baladhuri, translated by Philip Khuri Hitti, 2 parts, New York, published by Columbia University Press, 1916;
- **Al-Baladhuri1970:** Al-Baladhuri bin Jabir Al-Baghdadi bin Yahya Ahmad, Kitab Futuh Al-Buldan, Bairut, Sharikat Tab Al-Kutub Al-Arabyya, 1970;
- **Alkhateeb 2014:** Alkhateeb Firas. Lost Islamic History, Reclaiming Muslim Civilisation from the Past, London, published by Hurst & Company, 2014;
- **An-Nisai 2025:** An-Nisai Abu Abd Ar-Rahman, Bab Ghazvat Al-Hind, 2025. ხელმისაწვდომია: https://sunnah.com/nasai:3175 ბოლოს დამოწმებულია 28.04.2025;
- **Al-Tabari 1970:** Al-Tabari ibn Jarir Abu Ja’far Muhammad. The History of Al-Tabari, The Zenith of the Marwanid House, translated by Martin Hinds, Vol. XXIII, Albany, published by State University of New York Press, 1970;
- **Al-Yaqubi 1883:** Al-Yaqubi bin Wadih bin Wahab bin Jafar bin Abi Yaqub, Al-Juz Ath-Thani, Aidin, Matba Bril, 1883;
- **Dhar 1939:** Dhar Nath Sailendra. The Arab conquest of Sind, Proceedings of the Indian History Congress Vol. 3, Calcutta, 1939, გვ. 849-857;
- **Elliot 1867:** Elliot Henry. The History of India as told by its own historians, the Muhammadan period, Vol. 1, Lucknow, published by the Mudban Kala Mandir, 1867;
- **Gabrieli 1965:** Gabrieli Francesco. Muḥammad Ibn Qāsim Ath-Thaqafī and the Arab Conquest of Sind, East and West 15, Rome, 1965, გვ. 281-295;
- **Islam 1990:** Islam Arshad. History of Sind during Pre-Mughal period, Thesis submitted for the Degree of Doctor of Philosophy in History (Ph.D), Aligarh, 1990;

- **Hitti 1970:** Hitti Khuri Philip. History of the Arabs from the earliest times to the present. published by Macmilan Education LTD, Hong Kong, 1970;
- **Koleshnikov 1996:** Koleshnikov Alexander. The Arab conquest: Social and political consequences of the Arab conquest, In the book of History of Civilizations of Central Asia, v. 3: The Crossroads of Civilizations, A.D. 250 to 750. Editor: ***B.A. Litvinsky,*** published by United Nations Educational, Scientific and Cultural Organization, Paris,1996;
- **Kufi 1900:** Kufi Ali. The Chachnamah, an ancient history of Sind, giving the Hindu period down to the Arab conquest. translated from the Persian into English by Mirza Kalichbeg Fredunbeg, published by the Commissioneris Press, Karachi, 1900;
- **Kufi 1939:** Kufi bin Hamid bin Abi Bakr Ali. Fathnama-yi Sind maruf be Chach-nama, Hyderabad, Matbaa-yi Lutfi, Dehli, 1939;
- **Niazi 2012:** Niazi Hussain Karamat. The Constitution of the Islamic Republic of Pakistan. published by National Assembly of Pakistan, Islamabad, 2012;
- **Priyadarshini 2019:** Priyadarshini Jaya. The Arabs: Invasions and expansion, in the book of History of India from C. 300 C.E. to 1206,eds. N. Sinha Kapur, A. Anand, New Delhi, Indira Gandhi National Open University, 2019;
- **Shah 2011:** Shah Bipin. Arab's Islamic expansion and campaign against Hind of Central Asia and subcontinent,2021. ხელმისაწდომია:
https://www.researchgate.net/publication/342339631 ბოლოს დამოწმებულია 5.04.2025;
- **Sharma 2015:** Sharma Preeti. Invasions of Arabs in Sindh, International Journal of novel research in Humanity and Social sciences II, Delhi, 2015, გვ. 28-30;
- **Stein 2010:** Stein Burton. A History of India, Chichester, published by Blackwell Publishers Ltd, 2010;
- **Wink 2002:** Wink Andre. Al-Hind, the making of the Indo-Islamic world, early medieval India and the expansion of Islam 7th-11th centuries, Vol. 1. published by Brill Academic Publishers, New York, 2002.



სინდის რუკა იბნ ჰაუკალის (X ს.) მიხედვით (Elliot 1867: 66).

Rati Ramishvili
MA Program in Arabic Studies, TSU
ramishvilirati8@gmail.com

CONQUEST OF SINDH BY THE ARABS (711-712)

(SUMMARY)

The expansion of the Arab-Muslim world, which had begun under the Rightly-Guided Caliphs, reached its zenith during the Umayyad Caliphate (661-750). The eighth century marked one of the most dynamic stages of Islamic territorial and ideological growth. In this context, the Arab conquest of Sindh in 711-712 CE represents a formative event in the creation of a new Indo-Islamic cultural and political space.

According to Arabic historiographical sources, the campaign was commanded by Muhammad ibn Al-Qasim Al-Thaqafi, a seventeen-year-old general sent by the governor of Iraq, Al-Hajjaj ibn Yusuf, under the authority of the Caliph Al-Walid I. The invasion targeted the kingdom of Sindh, then ruled by the Brahman king Dahir. The conflict was provoked by the looting of Arab merchant ships near Debal by Sindhi pirates, which gave the Caliphate both a political and religious pretext for launching a retaliatory expedition.

Primary information about this conquest is preserved in the works of Ahmad ibn Jabir Al-Baladhuri (Futuh Al-Buldan), Al-Yaqubi, Al-Tabari, Ibn Al-Athir, and the later Persian translation of the Arabic Chachnama by Ali ibn Hamid Al-Kufi. However, among these, only Al-Baladhuri and Al-Kufi offer detailed narratives of the events. Modern historians, such as Wink, Hitti, Gabrieli, and Sharma, have provided critical interpretations of these classical sources.

The military campaign began in 711 CE with a force of approximately 30,000 soldiers, supported by siege machines and cavalry. After fierce fighting, Ibn Al-Qasim captured the strategic port city of Debal, often referred to in Muslim sources as Bab Al-Islam – “the Gate of Islam”. This victory enabled the incorporation of Sindh into the Umayyad Caliphate as a province, with its capital later established at Al-Mansurah.

Although the military conquest was limited geographically, its cultural and historical impact was profound. The Arabs introduced Islam into South Asia, laying the foundations for subsequent Muslim polities.

This study is based primarily on the accounts of Al-Baladhuri and Ali Al-Kufi, supported by modern scholarship. The scholarly novelty of the article lies in the fact that it is the first scientific treatment of the Arab conquest of Sindh presented in Georgian historiography, combining classical Arabic narratives with modern historical criticism.